საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 21 0000808179

20/08/2021

შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 12 მარტის №02/09 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №223976, 13/03/2021), წარმოდგენილ იქნა შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის სააკრედიტაციო განაცხადი „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 24 მარტის № 276594 ბრძანების საფუძველზე, შპს თბილისის თავისუფალი აკადემია ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 24 მაისის №481491 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა 2021 წლის 17 ივნისს. ხოლო 2021 წლის 30 ივლისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	•			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		•		
3. სტუდენტთა მიღწევები,	•			

მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		•		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		•		

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა **2021 წლის6 აგვისტოს.** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება, თუმცა საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/გადაიტანა რჩევებში, ასევე, რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 16 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ წარმოდგნილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 20 აგვისტოს №*807830* სხდომის ოქმის №-03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი№3).

4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

4.1.პროგრამულ დოკუმენტებში მოხდეს ხარვეზის გამოსწორება, კერძოდ, 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ძალადაკარგული ბრძანების ჩანაცვლება და კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს განახლებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10/04/2019 №69/ნ ბრძანების შესაბამისად;

4.2. რეკომენდებულია რიგი სასწავლო კურსებში უფრო ფარტოდ იქნეს გამოყენებული ქეისის ანალიზი, როგორც სწავლებისა და შეფასების მეთოდი;

4.3. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში, საჭიროა გადაიხედოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების პროპორცია, საკონტაქტო საათების ოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლები უნდა იყოს ვიდრე 180 საათი, კომპონენტისთვის დათმობილ 500 საათში;

4.4. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მასში მიზნების, ამოცანების და კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილის წარმოდგენას რათა მიღწეული იქნას სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება;

4.5. უნდა მოხდეს სწავლება-სწავლის მეთოდის, შესაბამისი აქტივობების გამიჯვნა, როგორც სილაბუსებში ასევე პროგრამაში, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად;

4.6. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები დაზუსტდეს კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად;

4.7. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები დაზუსტდეს კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად;

4.8. აკადემიის მიერ სხვადასხვა ღონისძიებების გატარება ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად, საერთაშორისო აქტივობებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით (მ.შ. დაფინანსების გათვალისწინება ბიუჯეტში);

4.9. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;

4.10. რეკომენდებულია სრულად ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარების მიზნით;

4.11. ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის, ასევე პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის კომპლექსური შეფასება და შედეგების ანალიზი - უნდა იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესების მომწესრიგებელ რეგულაციებში დადგენილი შეფასებისა და კონტროლის ყველა მექანიზმის სრულად გამოყენება;

4.12. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით;

რჩევები:

1. არჩევით სასწავლო კურსებსაც განესაზღვროთ შესაბამისი წინაპირობები სტუდენტთა მიერ სასწავლო მასალის მარტივად დაძლევის მიზნით;
2. სასურველია დაინტერესებული მხარეებთან ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის საპასუხოდ განხორციელებული აქტივობების /განხორციელებული ცვლილებების სისტემური დოკუმენტირება;
3. რამდენადაც საბაკალავრო ნაშრომი პროგრამის საავალდებულო კომპონენტია და ეთმობა 20 კრედიტი, სასურველია მასში გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი საველე სამუშაოებისა და პირველადი მონაცემების მოპოვება/ დამუშავების აქტიური ინტეგრირებით. ასევე სასურველია ბიზნესის კვლევების სასწავლო კურსის დამატება საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად;
4. სასურველია პროგრამას დაემატოს "მმართველობითი აღრიცხვა" არჩევითი სასწავლო კურსის სახით;
5. კარგი იქნება თუ მაღალი კურსების სასწავლო კომპონენტებში, დამხმარე ლიტერატურაში დაამატებენ ინგლისურენოვან ბოლოდროინდელ გამოცემებს, რადგან ქართულად არსებული სახელმძღვანელოები შედარებით მწირია;
6. კარგი იქნება თუ სტუდენტს მიეცემა საშუალება წინასწარ შეამოწმოს ნაშრომი პლაგიატზე და საბოლოო დაცვამდე შეამციროს ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის დონე;
7. ზოგიერთ კურსში, მაგალითად პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი, მოცემულია შეფასების კრიტერიუმი მაქსიმალური ქულით, თუმცა არ არის დაკონკრეტებული ამ კრიტერიუმის ქულათა რანჟირება, სასურველია ასეთ კურსებში დაკონკრეტდეს ქულათა რანჟირების კრიტერიუმები;
8. საგამოცდო ცენტრის მოწყობა, საგამოცდო პროცესის შესაბამის გარემოში წარმართვისა და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით;
9. სასურველია გატარდეს მეტი ქმედითი აქტივობები პროგრამის განხორციელებაში ჩართული თითოეული პირის ინფორმირებულობის დონის ამაღლების კუთხით შემდეგი მიმართულებებით: პროგრამის სწავლის მიზნების შესაბამისობის დადგენა პროგრამის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვის ინსტრუმენტები, პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლის მიზნებისა და შედეგების შეფასების პროცესები და ანალიზის შედეგების გამოყენების მეთოდები პროგრამის და/ან სასწავლო კურსის გაუმჯობესების მიზნით;
10. მიზანშწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული, გონივრული პერიოდულობით, ყველა იმ მექანიზმის გამოყენებით, რომელიც დაწესებულებამ თავადვე დაადგინა, მათ შორის გარე შეფასების პროცესში საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის ნაწილში;
11. მიზანშეწონილია გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით.

5. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი (2022 წლის 8 აგვისტომდე).

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 6 აგვისტოს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 21 ნოემბრის N89 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0102, ქ.თბილისი, ჯურხა ნადირაძის ქუჩა N46, N01.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 6 აგვისტო
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	1 წელი (2022 წლის 8 აგვისტომდე)
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 7 აგვისტო